პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 163 (10249) | სამშაბათი, 12 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

# ჩვენს დიად სამშობლოში

* * *

## ახალი სამშენებლო ტექნიკის გამოფენა

კვირას, 10 ივლისს, მოსკოვში გაიხსნა ახალი სამშენებლო ტექნიკის ტრადიციული გამოფენა.

იგი მოთავსებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სამხრეთ შესასვლელთან. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის მშენებლობის მთავარი სამმართველოს ტრესტები და სამმართველოები, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემია, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის საარქიტექტურო-საგეგმარო სამმართველოს ორგანიზაციები, სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და სხვა სამინისტროთა და უწყებათა მრავალი საწარმო.

პავილიონებში და ღია მოედნებზე ნაჩვენებია ყოველივე საუკეთესო, პროგრესული, რაც დედაქალაქის მშენებლებმა გასულ წელს შექმნეს. ექსპონატები მოგვითხრობენ, თუ როგორ ხორციელდება მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის რეკომენდაციები, რა წარნატებანი მოიპოვეს მოსკოველმა მშენებლებმა საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

მოსკოვის მშენებლობის მთავარი სამმართველოს პავილიონში ინტერესით ათვალიერებდნენ დიდი პანელებისა და დიდი ბლოკების შენობათა ფრაგმენტებს, კერამიკით მოპირკეთებულ დიდ ბლოკებს, პოლიგონებზე დამზადებულ დიდი ზომის რკინაბეტონის ნაწარმს. აქვე ეცნობოდნენ ისინი მშენებლობებზე სამუშაოთა ორგანიზაციას და მექანიზაციას, ახალი ტიპების მანქანებსა და მექანიზმებს.

ბევრის ყურადღება მიიპყრო მოსკოვის რკინაბეტონის ტრესტის განყოფილებამ. აქ აჩვენებენ სახლის ფრაგმენტს — მის ფასადს, რომელიც მოპირკეთებულია ნათელი ფერის ქვის სხმულით, აგრეთვე სხვადასხვა ნიმუშის არქიტექტურულ დეტალებსა და ასაწყობ რკინაბეტონის ნაწარმს. წარმოდგენილია სანიტარულ-ტექნიკური ბლოკები საცხოვრებელი სახლებისათვის, სარდაფების კედლების ღრუ ბლოკები, რკინაბეტონის ღობეები სკოლის ტერიტორიებისათვის. ყოველივე ამას ფართოდ იყენებენ დედაქალაქის მშენებლობებზე.

ნაკლებ ინტერესს როდი იწვევს აგრეთვე მოსკოვის მშენებლობის მთავარსამმართველოს № 1 ტერიტორიული სამმართველოს გახყოფილება. მომსვლელები დიდხანს აკვირდებიან კარკასიან-პანელიანი საცხოვრებელი სახლის ფრაგმენტს. ამას აქ აშენებენ ასაწყობი რკინაბეტონის კარკასისაგან.

ამავე პავილიონში წარმოდგენილია ასაწყობი რკინაბეტონისა და ასაწყობი ხის სახურავები, დიდი ზომის ტიხრები თაბაშირბოჭკოვანი ფილებისაგან, აგრეთვე ახალი სატრანსპორტო საშუალებანი დიდი დეტალების გადასაზიდავად. გამოფენაზე მისულმა მშენებლებმა გაიცნეს საბათქაშო, სამღებრო, მოსაპირკეთებელი და სხვა სახეობათა სამუშაოების დიდი წარმადობის საშუალებანი.

გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მოსკოვის მშენებლობის მთავარსამმართველოს გზახიდების მშენებლობის სამმართველოს მუშაკებმა. ისინი მიმსვლელებს აცნობენ სხვადასხვა ელემენტებს ასაწყობი რკინაბეტონისაგან, რომელსაც ხნაროობენ სანაპიროების მშენებლობაში და ახალ მასალებს გზების მშენებლობისათვის.

გამოფენაზე ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავიათ საშენი მასალების მრეწველობის საწარმოებს. მათ წარმოუდგენიათ ახალი ტიპების რკინაბეტონის ნაწარმი, წიდაბეტონის, სილიკატის, ქაფსილიკატისა და გაზბეტონის დიდი საკედლე ბლოკები, ახალ სახეობათა ცემენტები.

ნაჩვენებია სახურავი მასალები, კერამიკისა და მინის ნაწარმი, თერმოიზოლაციური ფილები, რომლებსაც მცირე წონა და დაბალი თბოგამტარუნარიანობა აქვთ, აგრეთვე სანიტარულ-ტექნიკური ნოწყობილობა. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ექსპოზიციაში შეტანილია ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობაში.

მოსკოვის საქალაქო აღმასკომის საარქიტექტურო-საგეგმარო სამმართველოს პავილიონში და სპეციალურ საარქიტექტურო-საკონსტრუქტორო ბიუროს სტენდებზეა საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა მრავალი ტიპური პროექტი, რომლებიც დამტკიცებულია მოსკოვის მასობრივი განაშენიანებისათვის, აგრეთვე ბეტონის დიდი ბლოკებით ნაგები ხუთ-რვასართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასკოლო შენობების ტიპური პროექტები.

მოსკოვპროექტის ინსტიტუტის მაგისტრალური სახელოსნოები გამოფენაზე მომსვლელებს აცნობენ ქალაქის მთავარი მაგისტრალებისა და დედაქალაქის სამხრეთ დასავლეთი რაიონის უახლოეს სამ წელიწადში განაშენიანების გეგმას. ამ რაიონში ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით შენდება 6, 8 და 10-სართულიანი საცხოვრებელი სახლები.

გამოფენაზეა სამშენებლო ტექნიკა: სხვადასხვა კონსტრუქციისა და ტვირთამწეობის კოშკურა ამწეები, ექსკავატორები, ბულდოზერები, ბეტონსარეველები, ქვის სამტვრევები და სხვა მანქანები და მექანიზმები, რომლებსაც მშენებლობებზე იყენებენ.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საშენი მასალების მრეწველობის მშენებელთა და მუშაკთა დიდი სეირნობა. სეირნობაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასამდე კაცმა.

გახსნის წინადღეს გამოფენა დაათვალიერეს ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ი. კირიჩენკომ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ა. ფურცევამ. (საკდესი).

## მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილენი მოსკოვში

მოსკოვის უცხოელი სტუმრები — მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილენი განაგრძობენ საბჭოთა დედაქალაქის ცხოვრების გაცნობას.

10 ივლისს ინდოეთის დელეგაციის წევრები გაიყვნენ ჯგუფებად და დათვალიერეს ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმი-კარმიდამო, ტრეტიაკოვის გალერია, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია შუადღემდე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო.

ინდონეზიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლებმა დათვალიერეს და გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი. მავზოლეუმში იყვნენ აგრეთვე სირიის დელეგაციის წევრები.

* * *

უცხოეთის ზოგიერთი დელეგაცია გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში. სტალინგრადს გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, ერევანს — ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების დელეგატები, სტალინაბადს — ინდოელ სტუმართა ჯგუფი.

10 ივლისს საღამოს სამშობლოში გაემგზავრა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია. (საკდესი).

## თბილისის საზოგადოებრიობის შეხვედრა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებთან

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრა ჰელსინკის მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებთან, რომლებიც სტუმრად არიან საქართველოში. შეხვედრა მოაწყეს მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

თეატრის დარბაზი მორთულია ლოზუნგებით ქართულ, რუსულ, ესპანურ ენებზე, რომლებიც მოუწოდებენ გაჩაღდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. თეატრი ხალხით არის სავსე. აქ არიან ქალაქის საწარმოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ასამბლეის არგენტინელ, ბრაზილიელ, კოლუმბიელ, კუბელ, მექსიკელ, ურუგვაიელ მონაწილეებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა უ. მ. ჯაფარიძემ. იგი მიესალმა სტუმრებს და თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც ყველა კეთილი ნების ადამიანი, მხურვალედ იწონებენ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის გადწყვეტილებებს, რომელთა მიზანია მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა.

მოხსენება „ხალხთა ურღვევი ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“ გააკეთა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, პროფესორმა ვ. ზ. გულისაშვილმა.

ტრინიდანიზეა ბრაზილიის დელეგაციის წარმომადგენელი, ბრაზილიის პარლამენტის წევრი სენატორი მალაკიასი. იგი მადლობას გამოთქვამს იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ საშუალება მისცა ჩამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

— საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, — თქვა მალაკიასმა, — ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანებს, საბჭოთა მთავრობას აერთიანებს საყოველთაო მშვიდობის დაცვის კეთილშობილური იდეა.

გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართა მშვიდობისათვის მებრძოლთ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის ზეინკლმა დ. დ. ამირანაშვილმა.

სიტყვას ამბობს არგენტინის დელეგაციის წევრი ფლორეალ კარბადიო. იგი აღნიშნავს, რომ ყველგან საბჭოთა კავშირში მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის არგენტინელ მონაწილეებს ესმოდათ კეთილი ნების ყოველი ადამიანისათვის სასურველი და ძვირფასი სიტყვა „მშვიდობა“. საბჭოთა ადამიანები და საბჭოთა მთავრობა მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

მგზნებარედ გაისმა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტის ელზა ახვლედიანის გამოსვლა ესპანურ ენაზე. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ახალგაზრდობა მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კოლუმბიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა დიეგი მონტანიამ მხურვალე სალამი გადასცა თბილისის მშრომელებს, გაუზიარა საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილება. მან ილაპარაკა კოლუმბიის ხალხის ბრძოლაზე მშვიდობისათვის, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის.

მექსიკის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა მექსიკის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის წევრმა, არქიტექტორმა კლარა პოსეტ გერერომ. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ ომის ძალებზე.

არგენტინის დელეგაციის წევრმა რამონ ფრეირე პისარომ თქვა, რომ ხალხები ერთიანი არიან თავიანთ მისწრაფებაში მშვიდობისაღმი, ურთიერთ თანამშრომლობისაღმი.

საქართველოს კულტურის მოღვაწეთა სახელით კაცობრობის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენლებს მიესალმა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა.

სიტყვა ეძლევა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეს, კუბის ხალხის დელეგატს მარტა ფრაიდეს. იგი ლაპარაკობს მშვიდობისათვის მილიონობით მებრძოლთა ძალების მზარდ გაერთიანებაზე და მჭიდრო დარაზმულობაზე.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებთან შეხვედრა მკაფიოდ გამოხატავდა მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთა ნების ერთიანობას.

საღამოს დასასრულს გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. (საკდესი).

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

### უნივერსალური ავტომატი

ლენინგრადი. (საკდესი). ჩარხ-ავტომატების ქარხანაში შეიქმნა ჩარხი, რომელიც დეტალებს ისეთი სიზუსტით ამზადებს რომ საჭიროც კი აღარ არის გახეხვა და ერთბაშად შეიძლება მათი აწყობა. ეს სიზუსტე განისაზღვრება მილიმეტრის მეათასედი წილით. წუთში ახალი ავტომატი ამზადებს ოცდაათამდე სხვადასხვა დეტალს, რომელთა დიამეტრი 12 მილიმეტრამდეა. ამ ავტომატით შეიძლება დამზადდეს საფეხურიანი ლილვაკები, მილისები, ღერძები და სხვა ნაწარმი საათებისა და ზუსტი ხელსაწყოებისათვის.

ქარხანაში აითვისეს გაძლიერებული სიზუსტის ხუთი ავტომატური ჩარხი ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობისათვის.

* * *

### ახალი ავტოგრეიდერი

პაიდე (ესტონეთის სსრ). (საკდესი). აქ დამთავრდა მძიმე ტიპის ახალი ავტოგრეიდერის „ვ-10“ საწარმოო გამოცდა; ამ ავტოგრეიდერს მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ. ავტომატი დამზადდა პაიდეს საგზაო მანქანების ქარხანაში ესტონეთის სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ინჟინერის არნოლდ ვოლბერგის ნახაზებით.

10 ტონა წონის ახალ მძლავრ საგზაო მანქანას აქვს მშვენიერი ტექნიკურ-საექსპლოატაციო თვისებანი. მანქანა მომარაგებულია მექანიზმებით, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გამოვიყენოთ იგი როგორც გრეიდერი, სატკეპნი, თხრილგამყვანი და გამაფხვიერებელი. აგრეგატი ორასზე მეტ მუშას ცვლის.

ავტოგრეიდერი „ვ-10“ მეთექვსმეტე საგზაო მანქანაა, რომელიც ინჟინერმა ვოლბერგმა გამოიგონა.

წელს პაიდეს ქარხანა ერთისამად გაადიდებს საგზაო მანქანების გამოშვებას.

* * *

### ვიწროლიანდაგიანი მოტომავალი

კალუგა. (საკდესი). კალუგის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა ვიწროლიანდაგიანი მოტომავლის დამზადება უამრავი მიწების ათვისების რაიონებისათვის. ეს არის თბომავლის ტიპის მანქანა ელექტროგადამცემით და წყლის მინიმალური ხარჯვით. მანქანაზე დადგმულია დიზელის 300 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა. ამ ძრავით შესაძლებელია 400-500 ტონა წონის მატარებლის წაყვანა.

ახალ მოტომავალს შეუძლია იმუშაოს ჰაერის ყოველგვარ პირობებში. მის ძრავაში მოწყობილია გამბობი დანადგარი ზამთრის მკაცრი ყინვის შემთხვევაში, აგრეთვე მაცივარი დანადგარი და ვენტილაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის ტვირთზიდვის განხორციელებას ზაფხულის 50 გრადუს სიცხეში.

* * *

### ულტრაბგერის დახმარებით

რიგა. (საკდესი). დღემდე ბალტიკის მეთევზეები მხოლოდ თვალით გამოცდილებას ეყარებოდნენ იმის გამოსარკვევად, არის თუ არა მოცემულ რაიონში თევზი. ახლა მათ ეხმარება თანამედროვე ტექნიკა. როცა მოტორიანი სათევზაო ტრალური ზღვაში გადის, კაპიტანი ჩართავს ეხოლოტს — სპეციალურ ჰიდროაკუსტიკურ ხელსაწყოს, რომელიც შეუცდომლად განსაზღვრავს თევზის გუნდის არსებობას 100-120 მეტრ სიღრმეზე.

ასეთი ხელსაწყოები დადგმულია სარეწ გემებზე, რომლებიც თევზის გუნდს ეძებენ ბალტიის ზღვასა და რიგის ყურეში.

ჩრდილოეთ ატლანტიკაში სარეწავად გაიდა ლატვიის ხუთი ახალი ტრალერი. ისინი მოწყობილია გაუმჯობესებული ეხოლოტებით. ამ ხელსაწყოების სპეციალურ ეკრანზე აღინიშნება გემის ქვეშ მყოფი თევზის არა მარტო რაოდენობა, არამედ სახეობაც.

## დნეპრი გადახიდულია

ნოვაია კახოვკა, 8 ივლისი. (საკდესი). კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მათ სარეკორდოდ მოკლე ვადაში — ორ დღეში — სავსებით გადახიდეს დნეპრის კალაპოტი, მდინარის წყალი წარმართეს რკინაბეტონის წყალსაქცევი კაშხალისაკენ.

დნეპრმშენის მუშაკები შეუდგნენ კალაპოტის მიწის კაშხალში გრუნტის ჩაყრას. უნდა ჩაიყაროს უკანასკნელი 6 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი. ამავე დროს ყველა უბანზე წარმოებს წყალსაცავის — კახოვკის ზღვის შექმნისათვის მზადება.



**სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.** ს ურ ა თ ებ ზ ე: 1. მეფრინველეობის პავილიონი. მოსკოვის ოლქის ბრატცევოს მეფრინველეობის ფაბრიკის წარჩინებული მეფრინველე ს. ტარარუშკინა სამტრედიელ მეფრინველეებს უამბობს, თუ როგორ გამოიყვანა „რუსული თეთრი“ ჯიშის ქათამი. 2. ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი. ვლადიმირის ოლქის პიონერები ეცნობიან თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩი ნატურალისტების საქმიანობის ამსახველ სტენდს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## აჭარის სსს რესპუბლიკამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ბათუმი. (საკ. კორ.). 8 ივლისისათვის აჭარის სსს რესპუბლიკამ 100,7 პროცენტით შეასრულა პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. მეაბრეშუმეებმა დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს 37.260 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.000 კილოგრამისა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

## გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა მოსავლის აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ივლისისათვის დაამთავრეს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, ხოლო 8 ივლისისათვის 101,1 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

პურის დამზადება გრძელდება.

## ნაწვერალზე სიმინდის თესვის გეგმის შესრულება

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შროშის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და 10 ივლისისათვის ნაწვერალზე სიმინდი დათესა 400 ჰექტარზე.

ამჟამად მიმდინარეობს ნაწვერალზე დათესილი სიმინდის კულტივაცია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# რაიკომის ლექტორთა ჯგუფი ზაფხულის პერიოდში

ლექციური პროპაგანდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელების, მშრომელთა ფართო მასების შეგნებულობის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ამასთან ერთად ლექცია წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისადმი დახმარების საუკეთესო ფორმას წარმოადგენს.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ პარტიულმა კომიტეტებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ლექციური პროპაგანდა. სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ზაფხულის პერიოდში პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებასთან ერთად ლექციების კითხვასაც წყვეტს, რაც სწორი არ არის. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევასუსტოთ მოსახლეობის იდეოლოგიური მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნის — ლექციური პროპაგანდის როლი ზაფხულის პერიოდში.

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ პარტიული განათლების ქსელში 1953-1954 სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ საგრძნობლად შეასუსტა ყურადღება ლექციური პროპაგანდისადმი. ამის შედეგად შემცირდა ლექციების კითხვაც რაიონის მოსახლეობაში. რაიკომის ლექტორთა ჯგუფის 32 წევრიდან შარშან ზაფხულში მხოლოდ რვამ მიიღო მონაწილეობა ლექციების კითხვაში. მაგალითად, რაიონის 28 კოლმეურნეობასა და 3 მტს-ში გასული წლის ივნისში წაკითხული იყო 9 ლექცია, ხოლო ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში — თითო ლექცია. ამის გამო კომუნისტებს თვეობით არ ჰქონდათ საშუალება მოესმინათ მაღალხარისხოვანი ლექციები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ამავე დროს ლექციების თემატიკის შერჩევასაც რაიკომმა ნაკლები ყურადღება მიაქცია. განსაკუთრებით ცოტა ლექცია იქნა წაკითხული მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე. ნაკლი მარტო ის კი არ იყო, რომ ძალიან ცოტა ლექცია მოეწყო, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ წაკითხული ლექციების ტექსტები რეცენზირებული და განხილული არ იყო რაიკომის ლექტორთა ჯგუფის სხდომებზე. ამის გამო წაკითხული ლექციების ხარისხი დაბალი იყო და ხელს არ უწყობდა კომუნისტების ცოცხალი ინტერესის ზრდას პოლიტიკური ცოდნისადმი.

რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების, რაიკოოპკავშირის, ვარდისუბნის ტერიტორიულ და საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ 1954-1955 სასწავლო წლის განმავლობაში პარტიის რაიკომი ათთვის იშვიათად აწყობდა ლექციებსა და კონსულტაციებს. მათი სურვილია, რომ წელს ზაფხულში სისტემატურად მოისმინონ კვალიფიციური ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, სსტპოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ და სხვ.

პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ (გამგე ფ. ცომაია) გაითვალისწინა კომუნისტთა მოთხოვნილებანი, აგრეთვე გასულ წელს ლექციური პროპაგანდის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და შეიმუშავა ზაფხულის პერიოდში რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საწარმო-დაწესებულებებში ლექციების მოწყობის გეგმა. რაიკომის შტატგარეშე ლექტორებთან ერთად მაისის ბოლოს შეირჩა და განაწილდა თემები, ლექტორებს დაევალათ 15-25 დღის ვადაში მოამზადონ ლექციების ტექსტები. რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ლექციების მოწყობის გეგმა ისეა შედგენილი, რომ პარტიის რაიკომის ლექტორები თვითეულ კოლმეურნეობასა და მტს-ში ივნისში, ივლისში და აგვისტოში 2-3 ლექციას მაინც წაიკითხავენ. ზაფხულის პერიოდში ლექციები გაიმართება აგრეთვე რაიკომის ბიბლიოთეკაში. ლექციების თემატიკა, მათი მოწყობის დრო და ლექტორთა გვარები ეცნობათ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს. ეს ღონისძიება უთუოდ გაზრდის პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და ლექტორების პასუხისმგებლობას ლექციების დანიშნულ დროზე, ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლექციების თემატიკის შერჩევას. ზაფხულის პერიოდში წასაკითხად გათვალისწინებულია, მაგალითად, ლექციები შემდეგ თემებზე: „მუშათა კლასის და გლეხობის ურღვევი კავშირი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა“, „მარქსიზმ-ლენინიზმი სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ“, „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის შესახებ“, „რსდმპ II ყრილობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, „კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში“, „ხალხთა მეგობრობა სსტპოთა კავშირის ძლიერების წყაროა“, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“, „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გადამწყვეტი როლი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში“, „სიმინდის ფართოდ დანერგვა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მეცხოველეობის სწრაფი ზრდის აუცილებელი პირობაა“, „სსტპოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ.

მაღალხარისხოვანი ლექციების კითხვა დამოკიდებულია ლექტორთა კადრების მომზადების დონეზე. პარტიის რაიკომმა კიდევ ერთხელ ყურადღებით შეისწავლა ლექტორთა ჯგუფის შემადგენლობა და ლექტორობისაგან გაათავისუფლა ისინი, რომელთაც არ ჰქონდათ საკმაო უნარი და ცოდნა კვალიფიციური ლექციების მოსამზადებლად და მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ ლექტორთა ჯგუფში. ამჟამად რაიკომის ლექტორთა ჯგუფში, რომელსაც რაიკომის მეორე მდივანი ა. ბეგიაშვილი ხელმძღვანელობს, გაერთიანებულია 22 კაცი, რომლებიც გეგმის მიხედვით ყოველ თვენახევარში ერთხელ რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საწარმო-დაწესებულებებში კითხულობენ ლექციებს.

საჭიროა პარტიულმა კომიტეტებმა ლექციური პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმონ შტატგარეშე ლექტორთა კადრების შერჩევას და მათს აღზრდას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ შტატგარეშე ლექტორების თეორიული მომზადების დონისა და მეთოდიკური ოსტატობის ამაღლებისათვის. ლექტორი არ უნდა გადავტვირთოთ სხვადასხვა დავალებებით.

პარტიული კომიტეტის შტატგარეშე ლექტორობა საპატიო მოვალეობაა და ამ დავალების შესრულებისათვის ლექტორს საშუალება უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად გამოიყენოს დრო მაღალხარისხოვანი ლექციის მოსამზადებლად. საჭიროა ლექტორი ღრმად ჩასწვდეს ცხოვრების არსს, იცოდეს ადგილობრივი ფაქტები, ლექციის კითხვის დროს გაითვალისწინოს აუდიტორიის თავისებურება. პარტიული ბიბლიოთეკა ლექტორებს სისტემატურ დახმარებას უნდა უწევდეს სათანადო ლიტერატურით, ლექციისათვის საჭირო ციფრობრივი მონაცემებით მოწინავე საწარმოებისა და კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ, რომელთა გამოყენება უფრო საინტერესოსა და დამაჯერებელს გახდის ლექციას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ხოლო მოუღონ ლექციური პროპაგანდის შეუფასებლობას, სერიოზულად „გაუმჯობესონ ლექტორთა ჯგუფების მუშაობა, ყოველნაირად დაძლიერონ ლექციური პროპაგანდა ზაფხულის პერიოდში.

**ა. კევლიშვილი,**
**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.**

## ქალაქი ქუთაისი

### საკონდიტრო ფაბრიკის რეკონსტრუქცია

დამთავრდა საფონდიტრო ფაბრიკის რეკონსტრუქცია, რაზეც 800 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. რეკონსტრუქციის შედეგად ფაბრიკის წარმადობა გაიზარდა ათჯერ. საწარმო აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ყველა საამქრო მექანიზებულია.

### ტროლეიბუსის ახალი მარშრუტი

ამ დღეებში ტროლეიბუსმა მოძრაობა დაიწყო ახალი, მეოთხე მარშრუტით — ავტოკარხნის სპეციალისტთა სახლებიდან (სტალინის ქუჩა) საავტომობილო ქარხნის მიმართულებით — გორის და ავტოკარხნის ქუჩების გავლით. ახალი მარშრუტის წრიული სიგრძე 5,6 კილომეტრია.

### გადასასვლელი ხიდი რკინიგზის ლიანდაგზე

დამთავრდა რკინიგზის ახალი გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, რამაც რკინიგზის სადგური ქუთაისი დაუკავშირა ძერჟინსკის ქუჩასთან. ხიდზე დადგმულია ლამპრონები.

### კულტურისა და დასვენების პარკში

ზაფხულის სეზონის შესახვედრად ბევრი რამ გაკეთდა კულტურისა და დასვენების პარკში. მოეწყო ახალი მწვანე თეატრი, რომელიც ორი ათასამდე მაყურებელს იტევს. რეკონსტრუირებულია პარკის მთავარი შენობა, ასასვლელი კიბეები. პარკში შესასვლელი სამანქანო გზა მთლიანად მოასფალტებულია. წელს პარკის ტერიტორია დაამშვენა ათასობით მცენარემ. მალე დამთავრდება რესტორან-პავილიონის ახალი შენობის აგება და სასპორტო მოედნის მოწყობა.

### სარკისებური შადრევანი ცენტრალურ ბაღში

ქალაქის ცენტრალურ ბაღში მოეწყო სარკისებური შადრევანი, რომლის იატაკი მოპირკეთებულია მარმარილოთი და მოზაიკით. სარკისებური შადრევანი, რომელსაც სამი ვაზა აქვს, საღამოობით განათებულია სხვადასხვა ფერის ნათურებით.

**ზ. მეფისაშვილი,**
**„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.**

## სვანეთის ტყეებში

ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას რესპუბლიკაში წამყვანი ადგილი უკავია. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მექანიზაციის გაბედულად დანერგვის შედეგად წელს მეურნეობის კოლექტივმა დამზადების 5 თვის გეგმა 107,5 პროცენტით შეასრულა, გამოზიდვისა — 132 პროცენტით.

განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობენ სვანეთის ტყეებში ამ ბოლო ხანებში. ორმელეთის სატყეო უბნის კოლექტივმა (უბნის უფროსი კ. პირველი) აპრილ-მაისში ტყის მასივიდან ხე-ტყის გამოზიდვის გეგმა 141,5 პროცენტით შეასრულა. ლახამის სატყეო უბანმა (უბნის უფროსი ბ. კვირკველია) გეგმის გადამეტებით 328 კუბმეტრი ხე-ტყე გამოზიდა. ქვედა იფარში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ო. ლემონჯავას ბრიგადამ, რომელმაც მაისში გეგმის გადამეტებით გამოზიდა 500 კუბმეტრი ხე-ტყე. ტრაქტორისტმა მ. ბარანოვმა მაისში თვიური დავალება 200 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით იმუშავა ავტომძღოლმა შ. ყიფიანმა და მრავალმა სხვამ.

მესტიის რაიონიდან სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში სამუშაოდ 200-ზე მეტი კოლმეურნე გამოვიდა. ხელმძღვანელი რაიონული ორგანიზაციები ყოველდღიურად ადევნებენ თვალყურს უბნებში და საოსტატოებში მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში ტყეში მომუშავეებს სათანადო დახმარებასაც უწევენ.

მაგრამ მეურნეობაში არიან ისეთი უბნები, რომლებიც გაუმართავად, ცუდად მუშაობენ. რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც სუსტად ეხმარებიან ტყეში მომუშავეებს. მაგალითად, ჩამორჩნენ ტიტას, ვედის და ხუმფერის სატყეო უბნები და საოსტატოები. მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს მარტო პირველ კვარტალში სახელმწიფოს დააკლო 310 კუბმეტრი ხე-ტყე. ასევე ჩამორჩნენ ხე-ტყის დამზადების დავალებათა შესრულებაში სოფელ იფარის ანდრეევის, სოფელ წვირმის მალენკოვის სახელობის და სოფელ ბეჩოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ხელმძღვანელთა განკარგულებაშია 24 ტრაქტორი, 21 ავტომანქანა, 2 ჯალამბარი და 14 ცალი ელექტროხერხი. ორმელეთის უბანში გამართეს და აამუშავეს ჯალამბარი, რომლის საშუალებითაც მომქანცავი, შრომატევადი შრომისაგან 15-20 მუშა განთავისუფლდა სხვა სამუშაოსათვის. ჯალამბართან ერთად აამუშავეს ელექტროხერხი, რომლითაც ყოველდღიურად მზადდება 120-130 კუბმეტრი ხე-ტყე. ამან უბნის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაეთავისუფლებინა 20 კაცი.

სვანეთის ტყეების დამმუშავებელთათვის ანლანან ბიილეს მომრავი ელექტროსადგურები, რომლებსაც იყენებენ ელექტროხერხების ასამუშავებლად და სხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განსახორციელებლად, ეს ახალი ტექნიკა ფიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ხარისხის გაუმჯობესებას და მერქნის დანაკარგების ლიკვიდაციას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის მთელი ის შესაძლებლობა, რასაც ამ ახალი ტექნიკის დანერგვა იძლევა, არ არის გამოყენებული.

მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი ჯერ კიდევ მეტად დაბალია, არა ჰყავთ ამ ახალ ტექნიკას დაუფლებული კვალიფიციური კადრები, არ გაანხიათ მექანიზმებისათვის საჭირო სათადარიგო დეტალების მარაგი, რაც ხშირად იწვევს მექანიზმების დაუტვირთავობას, გაცდენას.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრომ, ძნელი მისახვედრია რა მოსაზრებით, ავტოტრანსპორტის შესაკეთებელი სახელოსნო მოაწყო ზუგდიდში წარმოების ძირითადი ბაზიდან 70 კილომეტრის დაშორებით. შესაკეთებლად ავტომობილების ზუგდიდში გაგზავნა დაკავშირებულია დიდ ხარჯთან და დროის დაკარგვასთან. ამავე დროს ადგილობრივ სოფელ ჭუბერში სახელოსნო მოუწყობელია.

მექანიზაციის ოგულებელყოფასთან ერთად სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასაც.

ამას წინათ ქვედა იფარის უბანში მუშა თავისი ამხანაგებისათვის ცეცხლზე კერძს ხარშავდა.

— რატომ იწუხებთ თავს, რატომ ცდებით, სასადილო ხომ გაქვთ?

— იქ კერძები ძვირია, ასე უფრო იაფად გამოვდივართ, — იყო პასუხი.

ეს მუშა მართალი აღმოჩნდა. ადგილობრივ მუშათა სასადილოში მართლაც იშვიათად ამზადებენ ცხელ და იაფფასიან კერძებს, უბნებში გასატანად არა აქვთ საკმარი მოძრავი სამზარეულოები, გახსნილი არ არის კიოსკები.

გასულ წელს სვანეთის ტყეებში მომუშავეთათვის მეურნეობის მუშათა მომარაგების განყოფილებას საკმაოდ დიდი თანხის სამრეწველო საქონელი გამოუყვეს. განყოფილებამ კი აქედან 17 მილიონი მანეთის საქონელი ზუგდიდში გაყიდა.

მუშათა მომარაგების განყოფილების სასადილოებში და განსაკუთრებით კი სამრეწველო და სასურსათო მაღაზიებში ხშირია ფასების დამახინჯების, ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები. ეს მშვენივრად იციან მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელებმა, მაგრამ არავითარ ზომას არ იღებენ.

**გ. ნოდია,**
**„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.**

## პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ლენტეხი. (საკ. კორ.). მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამდღიანი სემინარი. სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები.

პარტორგანიზაციის მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს მასებში პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის თავიანთი გამოცდილება.

## ახალი პოლიგონების მშენებლობა

წელს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში შეუდგა რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების პოლიგონური ტიპის საწარმოების მშენებლობას.

პოლიგონებზე დამზადდებენ სახურავ ფილებსა და საკედლე ბლოკებს, აგრეთვე ბეტონის ხსნარს, რომელსაც მიაწვდიან სამშენებლო ობიექტებს ბეტონის ნაგებობისათვის.

პოლიგონები აღჭურვილი იქნებიან საესტაკადო მოწყობილობით და ყველა სხვა საჭირო მექანიზმებით.

# განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და სსტპოთა მთავრობამ შეიმუშავეს, მოითხოვს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ამაღლებას, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას. კოლმეურნეთა აქტივობის ამაღლებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა შარშან შემოღებულმა ახალმა წესმა, რომლის მიხედვით შრომისუნარიან კოლმეურნეთათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას რაიაღმასკომი დაამტკიცებს.

კოლმეურნეთა უდიდეს უმრავლესობაში მტკიცედ დამკვიდრდა შრომისადმი, როგორც პირველი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ზარმაცები და მუქთახორები, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას და არ ასრულებენ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს. ასეთი კოლმეურნეები მეტწილად იქ არიან, სადაც შემარიგებლობას იჩენენ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი, სადაც საზოგადებრივი აზრი მობილიზებული არ არის მუქთახორების წინააღმდეგ. იმ კოლმეურნეთა გამოსწორებისათვის, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან შრომასა და საზოგადოებრივ მეურნეობას, სერიოზულ საშუალებად იქცა 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი საბოსფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ამ კანონის მიხედვით იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახების ცალკეულმა წევრებმა არასაპატიო მიზეზით ვერ გამოიმუშავეს განვლილ წელს კოლმეურნეობაში დაწესებული შრომადღეების მინიმუმი, გადასახადად იხდიან 50 პროცენტის გადამეტებით. სსრ კავშირის მინისტრთა სსტპოს და სსტპოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით ასეთ მეურნეობებს 50 პროცენტით გაუდიდდათ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნორმებიც.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთ რაიონში ამ კანონის მოთხოვნა უქნარა კოლმეურნეთა მინართ არ სრულდება, რომ ზოგან არ მიმართავენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დამატებითს დატვგრას და სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ნორმების გადიდებას. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონის სოფლების ნადაბურის, მარელისისა და საქასრიის კოლმეურნეობებში რაიონული საფინანსო განყოფილებისათვის და დამზადებათა სამინისტროს რაიონული რწმუნებულისათვის გადაცემულ სიებში შეტანილი არ იყო იმ კოლმეურნეთა რამდენიმე ათეული მეურნეობა, რომელთა ოჯახის წევრებმა გასულ წელს საპატიო მიზეზის უქონლად არ გამომუშავეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში ხორცის სავალდებულო ჩაბარების ნორმები არ გაუდიდეს 211 მეურნეობას, ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში — 206 მეურნეობას.

ასეთი ფაქტები იყო ასპინძის, ზესტაფონის, კასპის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის რაიონების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ცნობილია, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში არ არსებობს საზოგადებრივ აზრზე უფრო მძლავრი საშუალება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სიები იმ კოლმეურნეებისა, რომლებსაც კოლმეურნეობათა გამგეობები გადასცემენ საფინანსო და დამამზადებელ ორგანოებს, ზოგჯერ განხილული და დამტკიცებული არ არის კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. ასე იყო, მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს ცხაკაიას სახელობის, სოფელ ახუთის ლენინის სახელობისა და მალენკოვის სახელობის, სოფელ ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში, გორის, გურჯაანის, ოჩამჩირის, შუახევის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება და შინაგანაწესი ითვალისწინებენ შრომის დისციპლინის დამრღვევებზე ზეგავლენის საკმაო საშუალებებს, დაწყებული ჯარიმით — ხუთი შრომადღის ჩამოწერით და იმით დამთავრებული, რომ გამოუსწორებელნი, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, კოლმეურნეობიდან გაირიცხებიან. ახალქალაქის, ზოგდანოვკის, ქარელის, ახმეტის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა ნაცვლად იმისა, რომ უნარიანად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებები შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კოლმეურნეთა აღზრდისათვის, ადგება უხეში ადმინისტრირებისა და ისეთი ჯარიმების დადების გზას, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წესდებით და სხვა კანონმდებლობით.

კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას თავისი შრომის შედეგებით, შემოსავლის განაწილებას კოლმეურნისათვის დარიცხული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით, რაც პირდაპირ დამოკიდებულია ბრიგადის, რგოლის ან ცალკეული კოლმეურნის მიერ ფაქტიურად მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ზოგიერთ რაიონში დღემდე აღმოფხვრილი არ არის ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შესანახად შრომადღეების გადახარჯვის ფაქტები. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1954 წელს ამ მიზნისათვის ზედმეტად დარიცხული აღმოჩნდა 1.564 შრომადღე, იმავე რაიონის სოფელ დარჩელის „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში — 1.043 შრომადღე, ლაგოდეხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში — 3.406 შრომადღე, აფენის მტს-ის ზონის კოლმეურნეობაში — 2.642 შრომადღე.

გულრიფშის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, ბოლნისის, ზუგდიდის რაიონებს მრავალ კოლმეურნეობაში დარღვეულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი. ამ რაიონების კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს მეცხოველეობიდან მიღებული ფულადი სახსრების 25 პროცენტის მთლიანად შეტანა განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში და არ აძლევენ კოლმეურნეებს ამ ანგარიშებიდან კუთვნილ ავანსებს. მაგალითად, გულრიფშის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობიდან მიღებულმა შემოსავალმა გასულ წელს შეადგინა 2.941.248 მანეთი, კოლმეურნეებს ავანსის სახით მისცეს მხოლოდ 30.766 მანეთი. ოჩამჩირის პირველი მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში შემოსავლიდან, რაც 1.729.815 მანეთს შეადგენდა, ავანსად გასცეს მხოლოდ 49.172 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ამ დარღვევათა აღსაკვეთად არ იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა უბანზე, მკაცრ კონტროლს შრომადღეების სწორად დარიცხვისადმი. შუახევის, ბათუმის, სიღნაღის, ხაშურის, წალკის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში კი სათანადოდ მოწესრიგებული არ იყო კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა, თავის დროზე არ შეჰქონდათ შრომადღეების აღრიცხვის უწყისებში და შრომის წიგნაკებში კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები.

იღებენ რა ღონისძიებებს საზოგადებრივი შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა უდიდესი მზრუნველობა უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს, გამოიყენონ შემოსავლის ნაწილი სმავშვო ბაღების, ბაგების, სამშობიარო სახლების, აგრეთვე კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ასაგებად, დაეხმარონ კოლმეურნეებს პირადი მეურნეობის მოწყობასა და წარმატებით გაძღოლაში. შუახევის, ბათუმის, მარნეულის, ბოგდანოვკის და ზოგიერთი სხვა რაიონის. ბევრ კოლმეურნეობაში სმავშვო დაწესებულებები არ არის; ეს გარემოება კოლმეურნე ქალებს ხელს უშლის აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე დგანან. პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ზედამხედველობა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციისა და დისციპლინის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის კანონებისა და დადგენილებების ზუსტად შესრულებისადმი კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან ერთად პროკურატურის ორგანოებმა დადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ კოლმეურნეთა უფლებებისა და ინტერესების დამრღვევთა წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობს არტელში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორ შეხამებას, კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდას.

სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მშრომელებს შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, უფრო ფართოდ გააჩაღონ სსტპოთა კანონების პროპაგანდა, წარმართონ კოლმეურნეთა ყურადღება შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა ჩამორჩენილ ჯგუფებს შორის. „არ შეიძლება ჩვენ გავლენას არ ვახდენდეთ ნაკლებ შეგნებულ, ნაკლებ განვითარებულ, ჩამორჩენილი განწყობილების ადამიანებზე, — აღნიშნავდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სსტპოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე. — ამ ადამიანებს ჩვეულებრივ ცოტა შრომადღეები აქვთ გაბმუშავებული. თუ კოლმეურნეობაში მცირე მოსავლიანობა და მეცხოველეობის მცირე პროდუქტიულობაა, კოლმეურნეობები იღებენ მცირე შემოსავალს, მცირეა შრომადღის ანაზღაურება. ასეთ კოლმეურნეობებში უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ადამიანებთან, ვიდრე ძლიერ კოლმეურნეობებში. და აქ უმთავრესია ინდივიდუალური მუშაობა, რათა დღეს ჩამორჩენილი ადამიანები სუსტ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის გადალახვისათვის აქტიური მებრძოლები გავხადოთ. უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები, რომ მხოლოდ მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით შეიძლება გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობის, ყველა კოლმეურნისა და ყოველი ცალკეული კოლმეურნის კეთილდღეობა“.

შრომის მაღალი დისციპლინა კოლმეურნეობათა განვითარების საფუძველია. შრომის დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებით, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლით საქართველოს კოლმეურნეები თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და სსტპოთა მთავრობამ დაგვისახეს.

**ს. ბელიავსკაია,**
**საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების გამგე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.**

# დარბაზობა არგენტინის საელჩოში

9 ივლისს არგენტინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლ. ბრავომ დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ა. ბენედიქტოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოვროგინა, ნ. ა. მიხაილოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, კ. ს. მოსკალენკო, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. პ. კოზირევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდატი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობას დაესწრნენ მოსკოვში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები. (საკადესი).

## ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სსრ კავშირის მთავრობას შესანახავად გადასცეს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელი

1955 წლის 9 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებულს უ. უოლმსლისაგან მიიღო ამერიკის სარატიფიკაციო სიგელი დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს ვენაში 1955 წლის 15 მაისს და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაამტკიცა 1955 წლის 24 ივნისს.

აღნიშნული სიგელი, ხსენებული სახელმწიფო ხელშეკრულების 38-ე მუხლის თანახმად, შესანახავად გადაეცა სსრ კავშირის მთავრობას.

სიგელის შესანახავად გადაცემას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. სოლდატოვი, სახელშეკრულებო სამართლის განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, ე. ნ. ნასინოვსკი, ვ. ნ. სმირნოვსკი.

ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პირველი მდივანი ჯ. გატრი, მეორე მდივანი — უ. მაკფედენი, ჯ. ლეონარდი და ჯ. ნეიბერტი.

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 9 ივლისი. (საკადესი). როგორც სინხუას საგაზეთო იუწყება, დღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე გრძელდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტის ჯგუფობრივი განხილვა.

დეპუტატებმა განიხილეს ხუთწლიანი გეგმის პროექტის ის განყოფილებანი, სადაც ლაპარაკია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

## ჩეხოსლოვაკიაში დაარსდა ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტი

პრაღა, 9 ივლისი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ატომის ენერგიის დაჩქარებული განვითარება და მშვიდობიანი გამოყენება საბჭოთა კავშირის დახმარების საფუძველზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიას მოაწვდის საცდელ ატომის რეაქტორსა და ციკლოტრონს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ დააარსა ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის საქმიანობას უხელმძღვანელებს ატომის ენერგიის კვლევისა და მშვიდობიანი გამოყენების საქმეთა მთავრობის კომიტეტი.

## რუმინეთში შეიქმნა ატომგულის ენერგიის კომიტეტი

ბუქარესტი, 10 ივლისი. (საკადესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან დაარსა ატომგულის ენერგიის კომიტეტი.

ატომგულის ენერგიის კომიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ ბაზას მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ატომგულის ფიზიკის დარგში და მისი დანერგვისათვის მეცნიერებასა და ტექნიკაში, შექმნის ორგანიზაციულ ბაზას სპეციალისტთა საჭირო კადრების მომზადებისათვის და პასუხისმგებლობას იკისრებს ატომგულის დანადგართა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოსაყენებლად.

ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის საუკეთესო ნათესებია. სურათზე: მიჩურინელი აგრონომი ა. ჯორბენაძე (მარჯვნივ) და კოლმეურნეები ხ. ხალვაში და დ. ბერიძე ათვალიერებენ სიმინდის ნათესებს მეოთხე ბრიგადის ნაკვეთში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

## დავაჩქაროთ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა

წელს სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა დაამზადონ 10.000 ტონა სილოსი. ეს იოლი საქმე არ არის. ამ დავალების შესასრულებლად სამტრედიელმა კოლმეურნეებმა მოკლე დროში დამატებით უნდა ააგონ 5.400 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი ანუ იმაზე 1.000 ტონით მეტი ტევადობისა, ვიდრე უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში აშენდა.

მოწინავე კოლმეურნეობებმა — სამტრედიის კიკვიძის სახელობის, ჯიხაიშის ნინოშვილის სახელობის, ბაშის სტალინის სახელობის, ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის, ეწერის რუსთაველის სახელობის, ილორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა ნათესების დამუშავებასთან ერთად ფართოდ გააჩაღეს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა. ეს კოლმეურნეობები კარგად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს.

აღსანიშნავია რაიონის სამრეწველო საწარმოთა თაოსნობა, რომლებმაც გადაწყვიტეს დაეხმარონ კოლმეურნეობებს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. მაგალითად, აგურის ქარხანა (დირექტორი ვ. ყაჭეიშვილი) შეფობას უწევს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობას. ქარხნის კოლექტივმა კოლმეურნეობას ადგილზე მიუზიდა საშენი მასალები, სასილოსე კოშკის მშენებლობის გასაძლიერებლად მიამაგრა სპეციალისტები. 200 ტონის ტევადობის კოშკი მზად იქნება 15 ივლისს. სილოსის დამზადების რაიონული გეგმის მეათედი სოფელ ბაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე მოდის. აქ დამატებით აშენებენ 500 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკებს. ბაშელ კოლმეურნეებს კოშკების მშენებლობაში ეხმარება საქართველოს „ჩაიმონტაჟმშენის“ ტრესტის სამენ მასალათა კომბინატის კოლექტივი. კომბინატის მუშაკებმა კოლმეურნეობას ადგილზე მიუზიდეს საშენი მასალები. ახლა კომბინატის ხელოსანთა ბრიგადა ენერგიის დაუზოგავად მუშაობს იმისათვის, რომ 20 ივლისამდე დაამთავროს ორი ორასორასი, ხოლო ერთი ასი ტონის ტევადობის სასილოსე კოშკების მშენებლობა.

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. მაგალითად, სოფელ კულაშის ორჯონიკიძის სახელობის, ოფეთის მოლოტოვის სახელობის, იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში, ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში“ აჭიანურებენ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დაწყებას. ამ კოლმეურნეობებში ივლისის პირველ ხუთდღეურში საშენი მასალებიც კი არ ჰქონდათ მიზიდული ადგილზე. სოფელ კულაშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უ. კეკელიამ 2 ივლისს კოლმეურნეობებში მშენებლობის რაიონული განყოფილების წარმომადგენელთან საუბარში უდარდელად განაცხადა:

— სასილოსე კოშკის მშენებლობას როგორ დავიწყებდით, როცა ჩვენთან საშეფო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჯერ არ მოსულა და არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რით გვეხმარებიანო (!).

როგორც ჩანს, ამხ. კეკელია თავს არ იწუხებს ადგილობრივი საშენი მასალების გამოსაყენებლად. სილოსის ჩადებამდე ცოტა დრო დარჩა. საუკეთესო ვადების ხელიდან გაშვება დაუშვებელია.

**ვ. კოკალეიშვილი,**

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირში

ირკუტსკი, 10 ივლისი. (საკადესი). აქ ერთი დღე გაატარა მოსკოვს მიმავალმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით.

9 ივლისს დღისით სტუმრებმა ინახულეს ანგარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მათ დაათვალიერეს ენერგეტიკოსთა დასა, რომელიც შენდება, იყვნენ კაშხალზე და ბეტონსაზიდ ესტაკადაზე, ჩაიარეს ქვაბულში, სადაც შენდება მომავალი ჰიდროელექტროსადგურის შენობა. უპასუხა რა პრეზიდენტ ხო ში მინისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრთა კითხვებზე, მშენებლობის უფროსმა ა. ე. ბოჩკინმა უამბო მათ, რა სამუშაოები ხორციელდება, და აცნობა, რომ 1956 წლის დამლევს ანგარის ჰიდროსადგურის პირველი აგრეგატები მოგვცემენ სამრეწველო დენს.

პრეზიდენტმა ხო ში მინმა და დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მძლავრი მექანიზმები, რომელთა საშუალებით საბჭოთა ადამიანები იმორჩილებენ ანგარას — ოცდახუთტონიანი ავტოთვითსაცლელები, პორტალური ამწეები. ისინი ავიდნენ მოსიარულე ექსკავატორის კაბინაში. ამ ექსკავატორის ციცხვის მოცულობა შეადგენს 14 კუბურ მეტრს.

ყველგან, სადაც კი გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლები მიდიოდნენ, მათ მხურვალედ ხვდებოდნენ მშენებლები. მშენებლობის დათვალიერების სამახსოვროდ სტუმრებს მიართვეს ალბომი, რომლის ფოტოსურათები ასახავენ ანგარის პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიმდინარეობას.

შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია წავიდა ირკუტსკის რაიონის კოლმეურნეობაში „პო სტალინსკომუ პუტი“. კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს. სასოფლო საბჭოს შენობაში გაიმართა საუბარი, რომლის დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფ. ა. ფედოროვმა დელეგაციის წევრებს უამბო არტელის ეკონომიკაზე, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაზე.

პრეზიდენტმა ხო ში მინმა მადლობა გადაუხადა კოლმეურნეებს გულთბილი მიღებისათვის და ახალი წარმატებანი უსურვა მათ თავიანთი ხალხის კეთილდღეობისათვის შრომაში.

იმავ დღეს დელეგაციის წევრები იყვნენ ძერჟინსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

დღის ბოლოს ირკუტსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ს. პატროვმა სადილი გამართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

საღამოს პრეზიდენტი ხო ში მინი და დელეგაციის სხვა წევრები დაესწრნენ საზეიმო კოცონს სოფელ ბაკლაშის პიონერთა ბანაკში.

10 ივლისს დილით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ნოვოსიბირსკს გაფრინდა.

* * *

ნოვოსიბირსკი, 10 ივლისი. (საკადესი). აქ ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მეთაურობით.

მთავრობის დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ ნოვოსიბირსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. შევნინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. მ. ულიბინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ი. ბაკუტინი, ქალაქის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლები.

აეროდრომი მორთული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

ნოვოსიბირსკის მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. შევნინი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა:

— ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ მოვედით თქვენს ქალაქში — საბჭოთა ციმბირის შესანიშნავ დედაქალაქში. ნება მიბოძეთ უმხურვალესი სალამი გიძღვნათ ვიეტნამელი ხალხის სახელით და გულწრფელი მადლობა გამოვთქვა მხურვალე შეხვედრისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ.

გაუმარჯოს ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ხო ში მინის სიტყვას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ნოვოსიბირსკის მოსწავლეებმა ყვავილები მიართვეს ხო ში მინსა და დელეგაციის წევრებს.

დღეს პრეზიდენტი ხო ში მინი და დელეგაციის წევრები გაეცნენ ნოვოსიბირსკს, დათვალიერეს მისი მთავარი მაგისტრალები, რომლებზეც შენდება ლამაზი მრავალსართულიანი შენობები. სტუმრები იყვნენ ობის ხიდის მშენებლობაზე.

საღამოს პრეზიდენტი ხო ში მინი და დელეგაციის წევრები იყვნენ ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ნახეს კ. ლისტოვის სპექტაკლი „კორალინა“. სპექტაკლი დადგა ხაბაროვსკის მუსიკალური კომედიის თეატრმა, რომელიც სადასტროლოდ არის აქ. მაყურებლებმა და თეატრის მუშაკებმა ოვაცია გაუმართეს პრეზიდენტ ხო ში მინსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს (საკადესი).

ნოვოსიბირსკი, 11 ივლისი. (საკადესი). აქ ერთი დღე-ღამის განმავლობაში სტუმრად იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით, რომელიც მოსკოვს მიემგზავრება.

დღეს შუადღისას ნოვოსიბირსკის აეროდრომზე სტუმრების გასაცილებლად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელების წარმომადგენლები.

გამოთხოვებისას პრეზიდენტმა ხო ში მინმა რუსულ ენაზე წარმოთქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო! გმადლობთ გულთბილი მიღებისათვის! გისურვებთ დიდ წარმატებებს! დიდი მადლობა და ნახვამდის!

მთავრობის დელეგაციის წევრებთან მიდიან ნორჩი პიონერები. მათ სტუმრებს მიართვეს ყვავილები. ხო ში მინმა მიმართა პიონერთა მწყობრს და შესძახა: „პიონერებო! იყავით მზად!“ პასუხად გაისმის ერთსულოვანი: „მუდამ მზად ვართ!“ იწყება მქუხარე ოვაცია, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას!“, „ბედნიერი მგზავრობა, ძვირფასო ხო ში მინ!“

12 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით თვითმფრინავი ჰაერში ადის და სვერდლოვსკისაკენ იღებს კურსს.

* * *

სვერდლოვსკი, 11 ივლისი. (საკადესი). დღეს ნოვოსიბირსკიდან სვერდლოვსკს ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით, რომელიც მოსკოვს მიემგზავრება. დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

აეროდრომი მორთული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. სტუმრებს შეხვდნენ სვერდლოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. მურავიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. ნ. ისაევი, გ. ა. კუროედოვი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ბიკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ი. კუზნინი, ქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს. პიონერებმა ხო ში მინსა და დელეგაციის წევრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

აეროდრომზე გაიმართა მიტინგი. სტუმრებს სიტყვით მიმართა სვერდლოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ი. მურავიოვმა.

მიკროფონის წინ სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ხო ში მინმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. თავის სიტყვაში, რომელიც რუსულ ენაზე წარმოთქვა, მან განაცხადა:

— ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ სულითა და გულით გადაგიხადოთ მადლობა იმ მხურვალე და დაუვიწყარი შეხვედრისათვის, რომელიც თქვენ მოგვიწყეთ მე და დელეგაციის ყველა წევრს.

— ძლიერ მოხარული ვარ გადმოგცეთ ძმური სალამი ვიეტნამელი ხალხისა, რომელიც გისურვებთ შემდგომ აყვავებასა და შემდგომ წარმატებას კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენ ბევრი რამ გვსმენია თქვენს შესანიშნავ ქალაქზე, თქვენს ნიჭიერ ადამიანებზე, რომლებიც შესანიშნავ მანქანებს ქმნიან. თქვენი შეხვედრა ნოწმობს იმ სიმპათიის გულთბილ გრძნობებს, რომლითაც დიდი საბჭოთა კავშირის ხალხები ეპყრობიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების სანარადისო და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

ხო ში მინის სიტყვამ არაერთგზის გამოიწვია მხურვალე ტაში.

ქალაქში მიმავალ გზაზე სტუმრებს მიესალმებოდა ათასობით მშრომელი. გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს გმირ ვიეტნამელ ხალხს და მის სახელოვან ხელმძღვანელს ხო ში მინს!“, „დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ურღვევი მეგობრობა!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!“.

### საგჭოთა მშენებლობა

## სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები

ყვარლის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მეცხოველეობის დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა მიეღწიოთ პირუტყვის მოვლა-პატრონობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

რაისაბჭოს აღმასკომი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს სასოფლო საბჭოებზე დაყრდნობით, რაისაბჭოს და სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების აქტიური მონაწილეობით.

რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელსაც დეპუტატი ი. ფესტვინიშვილი ხელმძღვანელობს, სისტემატურად სწავლობს რაიონის სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს, ამზადებს რაისაბჭოს აღმასკომის განსახილველად. ამას წინათ კომისიამ შეისწავლა ვორონეშოვოს სახელობის კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის და აღრიცხვის საკითხი, ხოლო ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორაში“ მიწის სარგებლობის წესების დაცვის საკითხები. ორივე საკითხზე რაისაბჭოს აღმასკომის სხდომამ იმსჯელა და სათანადო ღონისძიებანიც დასახა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა შილდის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე დეპუტატი ნ. ირემაშვილი). კომისიამ შეამჩნია, რომ შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მარტის მეორე ნახევარში ძროხების წველადობამ იკლო. კომისიის წევრები ამ საკითხზე მოეთათბირნენ რაისაბჭოს დეპუტატს ზოოტექნიკოს მ. მირიანაშვილს, მივიდნენ ფერმაში, ესაუბრნენ მწყემსებს. გამოირკვა, რომ წველადობის შემცირების მიზეზი იყო საკვების სიმცირე. კომისიის წევრებმა და ზოოტექნიკოსმა საკითხი დააყენეს კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე. მეწველი ძროხები გადაყვანილ იქნენ ბაგურ-ბანაკურ კვებაზე, განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც, რის შედეგად კოლმეურნეობაში მკვეთრად იმატა წველადობამ. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1 თებერვისათვის მიღებულია 380 კილოგრამი რძე, მაშინ როდესაც გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის მიღებული იყო 109 კილოგრამი. კარგად იმუშავეს მწველავებმა ფ. ბერძენიშვილმა, ვ. ასაბაშვილმა, ქ. ჯაბაგიძემ და ბრიგადირმა ზ. ფაჩოშვილმა. ფერმას ხელმძღვანელობს უნარიანი და გამოცდილი მეუფაკი ვეტფერშალი ი. გვიმრაძე.

შილდაში ყურადღება არ ექცეოდა ნათესების მოვლისა და დაცვის საქმეს. ამის შესახებ სიგნალები მიიღო სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ. საქმეში მისი ენერგიული ჩარევის შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

კარგად მუშაობს გავაზის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიაც. კომისიას ხელმძღვანელობს აგრონომი ნ. შუბნოშვილი. კომისიის თავმჯდომარემ და მისმა წევრებმა სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში. კოლმეურნეობამ დაწესებულ აგროვადებში დამთავრა საგაზაფხულო თესვა, მარცვლეული კულტურები 100 ჰექტარით მეტი დათესა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. დიდი ყურადღება ექცევა სიმინდს. იგი დათესილია 425 ჰექტარზე, რაც 45 ჰექტარით მეტია 1954 წლის ნათესთან შედარებით. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 100 ჰექტარი სიმინდი დათესოს ნაწვეარაზე. თუ გასულ წელს კოლმეურნეობამ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად 30 ჰექტარზე დათესა, წელს ამ წესით 200 ჰექტარი დაითესა. მზესუმზირას და სიმინდის ნათესების კულტივაცია მექანიზებული წესით წარმოებს.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ ახალციხელის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ს. ჭაბუკიანი) და სოფელ ყვარლის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ა. ჭიბოშვილი). მათ სასოფლო საბჭომ შეაქვთ საქმიანი წინადადებანი, რომელთა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობებში იზრდება მოსავლიანობა და ფულადი შემოსავალი, დიდდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მაგრამ რაისაბჭოსა და სოფლის საბჭოებს მაინც სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში. ამითაც აიხსნება, რომ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მუშაობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. სოფელ კუჭატანის კოლმეურნეობა „განთლება“ გასულ წელს საგრძნობლად ჩამორჩებოდა მეცხოველეობაში: ერთ საფურაჟე ძროხაზე აქ მხოლოდ 284 კილოგრამი რძე მიიღეს, ერთი ცხვრის ნაპარსი მატყლი 1,8 კილოგრამს შეადგენდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, ერთ დედაღორზე წლის განმავლობაში სუფალოდ გამოზარდეს 4,4 გოჯი. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად წელს მაინც მიიღებდა გადამჭრელ ზომებს. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. აქ პირუტყვი ძველებურად მოუვლელია: საკვებს არასაკმაოდ აძლევენ, ულუფაში მეტად მცირეა კონცენტრირებული და ზვნიანი საკვები, პირუტყვს უსუფთაოდ ინახავენ. ამიტომ საკვირველი როდია, რომ აქ 1 ივნისისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 178 კილოგრამი რძე. კოლმეურნეობა „განთლება“ რაიონში ყველაზე უფრო ჩამორჩენილია. სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე თ. ყულიჯანოვი) კოლმეურნეობის ჩამორჩენას გულგრილად შეჰყურებს. სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას (თავმჯდომარე ვეტექიმი გ. ჯიოშვილი) დღემდე არაფერი არ გაუკეთებია.

თითქმის არაფერს არ აკეთებს ენისლის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია. არც კომისიის თავმჯდომარეს აგრონომ ლეგაშვილს და არც კომისიის წევრს ენისლის მტს-ის დირექტორს დეპუტატ ე. ლომაურს დღემდე არ უფიქრიათ შეესწავლათ, კომისიის სხდომაზე განეხილათ და აღმასკომის წინაშე დაეყენებინათ სოფლის მეურნეობის რომელიმე აქტუალური საკითხი. ეს ამ დროს, როცა სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები საგრძნობლად ჩამორჩებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. თითქმის არაფერს არ აკეთებს საბუის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიაც (თავმჯდომარე დეპუტატი ა. პატაშვილი).

ივნისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში უდიდესი მოვალეობა აკისრიათ მტს-ებს. ისინი წამყვან ძალას წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, კერძოდ მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. რაისაბჭოს აღმასკომი და სასოფლო საბჭოები სოფლის მეურნეობის საკითხებს მტს-ებთან ერთად წყვეტენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სიმინდის კულტურას. ყვარლის რაიონს გლეხობას სიმინდის მოყვანის საქმეში კარგი გამოცდილება აქვს. ნიადაგი და კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას სიმინდის სარეკორდო მოსავალი, ფართოდ განვითარდეს სიმინდის ნაწვარალზე თესვა. საჭირო იყო სიმინდის ნათესების გაფართოება. თავისუფალი სახნავი ფართობი კი არა გვაქვს. მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა შვრიის ნათესების შემცირებისა და ნაკლებპროდუქტიული საძოვრებისა და სათიბების ხარჯზე გაზარდეს სიმინდის ნათესები. სიმინდს ახლა უკავია 3.310 ჰექტარი ნაცვლად გასული წლის 2.900 ჰექტარისა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 2.000 ჰექტარამდე სიმინდი დათესოს ნაწვეარალზე. მტს-ების ბევრმა მექანიზატორმა თავი ისახელა სიმინდის თესვის საქმეში. ყვარლის მტს-ის მე-9 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ვ. დაქიურიძე ხელმძღვანელობს, სიმინდი 363 ჰექტარზე დათესა, აქედან 171 ჰექტარზე — კვადრატულ-ბუდობრივად. განსაკუთრებით მაღალეფექტიანად შრომობდა ტრაქტორისტი ჟორჟოლაძე, იგი გამომუშავების დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ყვარლის მტს-ის ცნობილი მექანიზატორი რაისაბჭოს დეპუტატი ს. ბუთიაშვილი და სხვები.

მტს-ების მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. მტს-ებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს კოლმეურნეობათა მთელი რეზერვების გამოვლინება და გამოყენება. სრულად არ არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ადგილი აქვს მანქანების მოკდენას, ალფოფხვრილი არ არის ავარიების შემთხვევები. ენისლის მტს-ში გასულ წელს ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, გადახარჯა საწვავი, გაამეორა სატრაქტორო სამუშაოები. მიმდინარე წლის გაზაფხულზეც არადამაკმაყოფილებლად იმუშავა მტს-მა. მის მომსახურე კოლმეურნეობებში გეგმიურად საგაზაფხულო თესვა, ხოლო სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის გეგმა სანახევროდაც არ შესრულებულა. აქ ითმენენ მანქანების სისტემატურ მოკდენას. პატივს არ სცემენ აგროტექნიკას. ნაკლოვანებები აქვს ყვარლის მტს-საც, ამ მტს-ის ტრაქტორისტებს გ. მანველოვს და ა. სარაძეს, რომლებიც „სტაზანატის“ მარკის ტრაქტორებს მართავენ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ.

მტს-ების მ

# პოლონეთის მთავრობის დელეგაცია ვარშავაში დაბრუნდა

## ბოლესლავ ბიერუტის სიტყვა

ვარშავა, 10 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბერლინიდან ვარშავაში დაბრუნდა პოლონეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბერუტი. აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლონეთის ჯარის გენერლები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ბ. ბერუტმა შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლონეთის მთავრობის დელეგაციას ყველგან უაღრესად გულითადი მიღება მოუწყეს. მასობრივი მიტინგებისა და კრებების მონაწილეებმა პოლონელი ხალხისადმი გულწრფელი შეგობრობის გრძნობა გამოიჩინეს. მათ სთხოვეს პოლონეთის დელეგაციას გადასცეს პოლონელ ხალხს, თქვა ბერუტმა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები აღარავის დაანებებენ დააყენოს ისინი პოლონეთის ხალხების წინააღმდეგ სიძულვილის, მტრობის ან შეიარაღებული ბრძოლის გზაზე, რაც სურთ იმპერიალისტებს, ნეოჰიტლერელებს და დასავლეთ გერმანიაში აღორძინებული ვერმახტის ამერიკელ მფარველებს.

პოლონეთის დელეგაციამ ბევრი წერილი მიიღო გერმანელი მუშებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. ამ წერილებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთათვის უცხოა რევანშისტული პროპაგანდა, რომ ისინი გამსჭვალული არიან მეგობრული გრძნობით პოლონელი ხალხისადმი, რომელიც აშენებს სოციალიზმს, მასთან ერთად იბრძვიან მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის, სულით და გულით უჭერენ მხარს სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივას და მის თანმიმდევრულ აქტიურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა.

აზრთა გაცვლამ პოლონეთის დელეგაციასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, განაგრძო ბერუტმა, ცხადყო ორი სახელმწიფოს ურთიერთგაგება და საერთო პოზიცია ძირითად საერთაშორისო საკითხებსა და ჩვენი ქვეყნებისათვის საინტერესო საკითხებში.

ოდერსა და ნოისეზე დღეს დგანან მშვიდობის მტკიცე დამცველთა ძლიერი და დარაზმული რიგები. ამაოა იმათი იმედი, ვისაც სურს უკულმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი და კვლავ წაჰკიდოს ერთმანეთს ჩვენი ხალხები. პოლონეთი ზეადამ უჭერს მხარს გერმანელი ხალხის მისწრაფებას, რომ გერმანია გაერთიანდეს მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე, და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია იბრძოლოს იმ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც პარიზის შეთანხმებებმა შექმნა გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზაზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებსაც ამ მიმართულებით ახორციელებს საბჭოთა კავშირი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ გერმანიაში იზრდება ძალები, რომლებიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს დამღუპველ პოლიტიკას — გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და სამხედრო ბლოკებში დასავლეთ გერმანიის ჩაბმის პოლიტიკას.

სახალხო პოლონეთის მთავრობას სურს კარგი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს მოელი გერმანელი ხალხის პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის გერმანიის ერთიანობისათვის, ეყრდნობა რა მშრომელი მასების პროგრესულ და მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, არის გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალების ორგანიზებული ბურჯი, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. ამიტომ ჩვენ კვლავაც განუხრელად განვავითარებთ და განვამტკიცებთ მეგობრობასა და თანამშრომლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

# დედათა მსოფლიო კონგრესზე

ლონდონი, 9 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ). დედათა მსოფლიო კონგრესი ლონდონში მუშაობას განაგრძობს. გუშინდელი პლენარული სხდომა გახსნა ბრაზილიის დელეგატმა, ბრაზილიის ქალთა ფედერაციის თავმჯდომარემ ბრანკა ფიალომ.

მან განაცხადა, რომ დედათა მსოფლიო კონგრესმა მიიღო ორი ათასზე მეტი მისალმება სხვადასხვა ქვეყნიდან.

კონგრესის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამერიკის ორგანიზაციის „იხსენით ჩვენი შვილები“ კომიტეტის თავმჯდომარის ფლორენს ჰაუგლის წერილი. „ჩვენ ამერიკელ დედებს, რომლებმაც დიდი ტანჯვა გადავიტანეთ კორეის ომის დროს, — წერს იგი, — გვსურს გოიმსოთ, თუ როგორ ვიფასებთ თქვენს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ომისაგან ბავშვების დაცვა, განიარაღება და ხალხთა შორის თანხმობის მიღწევა. ჩვენ ვისწრაფვით აღვზარდოთ ჩვენი შვილები მშვიდობის სულისკვეთებით. ჩვენ გვსურს, რომ მათ იცოდნენ სიცოცხლის ფასი, შრომობდნენ შიმისა და სიძულვილისაგან თავისუფალი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ჩვენ მოვალენი ვართ ყოველივე შესაძლებელი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს შვილებს ჩაეუნერგოთ მეგობრობისა და მშვიდობის იდეალები“.

კონგრესმა მიიღო „ჩიკაგოელ ქალთა მშვიდობის ორგანიზაციის“, ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის შარლოტა ბასის, ცნობილი ამერიკელი მხატვრის ანიტა ვილკოქსის მისალმებანი.

მისალმების გამოქვეყნების შემდეგ სიტყვა ეძლევა ქ-ნ ლის ახალი ზელანდიიდან.

მადლობა გადაუხადა რა შვეიცარიელ ქალებს გულითადი მიღებისათვის და მადალი შეფასება მისცა რა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივას, რომელმაც მოითხოვა ამ კონგრესის მოწვევა, ქ-ნმა ლიმ თქვა: „მე ხუთი შვილის დედა ვარ და მშვიდობისათვის ამიტომ ვიბრძვი, რომ არა მსურს ჩემი შვილები ან სხვა დედათა შვილები ომის მსხვერპლნი გახდნენ. ამიტომ მე მივესალმე ზანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე გავილაშქრე და ვილაშქრებ ანზიუსის და სეატოს (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის სამხედრო ბლოკები. რედ.) წინააღმდეგ, რომლებსაც, სამწუხაროდ, მიემხრო ჩემი ქვეყნის მთავრობა. ჩვენს ახალგაზრდობას გზავნიდნენ საომრად კორეაში და ახლა კი გზავნიან საომრად მალაიაში. ხოლო ახალი ზელანდიის ხალხს სურს მეგობრობა მალაიელ და კორეელ ხალხებთან. ჩვენ ომს უნდა ვესწრაფოდეთ, რომ ყოველმა ქალმა ისწავლოს იმ ძალების გარჩევა, რომლებიც ომს ესწრაფვიან, და იმ ძალებისა, რომლებიც საფუძველს ქმნიან მშვიდობისათვის. ჩვენ, დედები, უნდა გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ, რომ არა მარტო გამართოს ოთხი სახელმწიფოს შეხვედრა, არამედ, რომ მას მოჰყვეს ხუთი სახელმწიფოს შეხვედრა, და რაც შეიძლება მალე“.

ვეზნერარე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლი დე-ციუანმა.

„ჩვენ, ჩინელმა დედებმა, — თქვა მან, — საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცით, რა ტანჯვა მოაქვს ომს. ომის მძიმე წლებში ჩვენ უდიდესი სიძნელეები და უზიდურება გადავიტანეთ უცხოელ ავანტიურისტებან. ამიტომ შევეძულეთ ომი და ვილაშქრეთ კოლონიალიზმის წინააღმდეგ. განა შეგვიძლია ნება მივცეთ, რომ ომის ტრაგედია განმეორდეს? განა შეგვიძლია ნება მივცეთ, რომ ომსმოწყურებულმა აგრესორებმა მოსპონ ჩვენი შვილები? არა! ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი შვილები, დავიცვათ მშვიდობა, — ასეთია ჩვენი მტკიცე პასუხი, რომელიც აღმომხდარია მთელი მსოფლიოს მილიონობით და მილიონობით დედის გულიდან. ჩვენ, ჩინელი ქალები, ვიცავთ მშვიდობას და ყოველივე შესაძლებელს გავაკეთებთ, რაც ხელი შეეშუშოთ ყველა ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგებასა და მეგობრობას...

ჩვენ მოვწვეთ ბევრი მეგობარი სხვა ქვეყნებიდან გვეწვიონ ჩინეთში. ბევრმა ჩვენმა წარმომადგენელმა აგრეთვე ნახა ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნები. ეს ვიზიტები ხელს უწყობენ ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განვითარებას“.

ლი დე-ციუანმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არ არის არც ერთი ისეთი დედა, რომელსაც ხელი არ მოეწეროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

ცნობილმა არაბმა მწერალმა ქალმა, იორდანიაში ბავშვთა კეთილდღეობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ფთიზა ალდულ მაჯიმამ ილაპარაკა იორდანელი ქალების დისკრიმინაციაზე, ამ ქვეყანაში ბავშვთა მძიმე მდგომარეობაზე.

შესვენების შემდეგ კონგრესის სხდომას თავმჯდომარეობდა სსრკ-ოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნინო პოპოვა.

შემოვიდა წინადადება შეიქმნას დედათა მსოფლიო კონგრესის მანიფესტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი კონგრესის მიმართვისა და ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებისადმი წერილის შემმუშავებელი სარედაქციო კომისიები.

გუშინ კონგრესზე გამოვიდნენ აგრეთვე ბრაზილიის, კანადის, ისრაელის, ფინეთის, ტუნისის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების დელეგატები.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სახელით კონგრესს მიესალმა მარი მორავი. მან პირობა მისცა კონგრესს, რომ ახალგაზრდობა ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ გაიმარჯვოს მშვიდობის საქმემ.

გუშინ საღამოს მუშაობდნენ კონგრესის კომისიები.

# ს ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე

## „ კ რ ი ლ ი ა ს ო ვ ე ტ ო ვ ი“ (კ უ ბ ი ბ ე ვ ი) — „ დ ი ნ ა მ ო“ (თ ბ ი ლ ი ს ი)

ერევანი, 9 ივლისი. (საკდესი). ბ. ბერუტმა, ბ. ეიდუკევიჩ-ბიერუტიანმა, ბ. ბიერუტიანმა, ბ. ბიერუტიანმა, ბ.